1925 N11

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის დეკემბრის 15.

№ 11.
განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 530. ა/კ. სფსრ ტყავის ნედლეულების ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ.
„ 531. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მკერდზე სატარებელი ნიშნის წარმოებისა და გავრცელების შესახებ.
„ 532. სსრკ ცენტრის დაწესებულებების მიერ, რომელნიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებიან, სპეციალისტებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებათა სარეგისტრაციოდ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში წარდგენის შესახებ.
„ 533. ამხ. ფრუნზეს დასაფლავების დღეს დროშების დაშვებისა და შედლუნის შესახებ.
„ 534. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის შესახებ.
„ 535. ჩაის სუროროგატების შესახებ.
„ 536. შრომის ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დამყარების წესის შესახებ სპეციალისტთა სასყიდლისათვის 1925—1926 საბიუჯეტო წლის 1-ლ სანახევარწლად.
„ 537. დროებით შრომის უნარდაკარგულობისათვის მისაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.
„ 538. სტაციონურ სამკურნალო დაწესებულებებში უფასოდ მოთავსებულ დაზღვეულთა გასამრჯელოდან წოლით მკურნალობისათვის სასყიდლის დაჭერის გაუქმების შესახებ.
„ 539. ა/კ. სფსრ შინა ვაჭრობის სახალხო კომისრად ამხ. ერქომაიშვილის დანიშვნის შესახებ.
„ 540. ა/კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშგების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე საბჭოების არჩევნებისათვის მომზადებისა და საარჩევნო კამპანიის ჩატარების საქმეში.
„ 541. გლეხების მიმართ სახელმწიფო დაწესებულებათა დმ საწარმოთა დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ.
„ 542. ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი მიმოსვლის ტარიფის შემცირების შესახებ მოცვის ფოთლის გადახვიდვისათვის.
„ 543. საქალაქო მიწების დამატებითი რენტის უკიდურესი განაკვეთის შესახებ 1924—1925 საბიუჯეტო წლისათვის.
„ 544. ა/კ. სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ.
„ 545. სააქციონერო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცებისა და თვით საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

„ 546 ტრესტებად მოწყობილ მეურნეობათათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების წესისა, ამ მეურნეობათათვის კრედიტის მისაცემად ფონდების დაარსების წესისა და ამ ფონდების დახარჯვის წესის შესახებ.

„ 547. სამრეწველო-ეკონომიური განათლების ხელისშემწყობი კომიტეტის დებულების დამატების შესახებ.

„ 548. ა/კ. ს. ს. რ. ფედერატიული კავშირისა და ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო დაზღვევის შესახებ გამოკეთებული დეკრეტების გაუქმების შესახებ.

„ 549. ა/კ. სფსრ ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო მეურნეობების მიერ ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოსათვის თავიანთი მუშაობის ანგარიშებისა და ცნობების წარდგენის შესახებ.

„ 550. რესპუბლიკანური საკრედიტო დაწესებულებებისა, კომუნალური ბანკებისა, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებისა და ლომბარდების სარეგისტრაციო განაკვეთის შეცვლის შესახებ.

„ 551. საყაზარმო სადგომებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, ვინც მუშათა და გლეხთა არმიისა ან სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებების სამსახურში არ იმყოფება.

„ 552. უცხოელთა მიერ საცხოვრებელი დოკუმენტების განახლების ვადის შესახებ.

„ 553. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის იმ დადგენილებებისა და ცირკულიარების გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა თანახმად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. სექტემბრის 13-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა „იმ საწარმოთა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთაც საშეღავათო ტარიფს სარგებლობის უფლება აქვთ.

„ 554. იმ პირთა დახლვევის შესახებ, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის მომსახურე დამქირავებლებთან.

დადგენილება № 4 (60) აკსფრ შინა-ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ოქტომბრის 23.

530. ა/კსფსრ-ში ტყავის ნედლეულობის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ.

„ა-კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახ. კომ. დროებითი დებულების შესახებ" ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე 2 მუხ. „ვ" და „ი" პ.პ. თანახმად—ა-კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს დღეიდან ა-კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1924 წლის ნოემბრის 5-ს თარიღისა და 3511 (17) დადგენილება—ტყავის ნედლეულობის უკიდურესი ფასების შესახებ ა-კ სფსრ-ში

ა-კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს

უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1018 №-ში 1925 წ. ნოემბრის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 21 (58) აკ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ოქტომბრის 20.

531. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის მკერდზე სატარებელი ნიშნის წარმოებისა და გავრცელების შესახებ.

ა-კ. სფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 7-ს დადგენილების თანახმად ა-კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ახალგაზდობის კომუნისტური ინტერნაციონალის განსხვავებული ნიშნის წარმოებისა და გავრცელების საქმის მოსაწესრიგებლად, ადგენს:

1. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ნიშანის ა/კ. სფსრ ტერიტორიაზე წარმოებისა და გავრცელების სამონოპოლიო უფლება მიეცეს მარტოოდენ რუსეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის საოლქო კომიტეტის გამომცემლობას, „კრასნიე ვსხოდი“,—აგრეთვე იმ ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც მიიღეს ზემოაღნიშნული გამომცემლობის „კრასნიე ვსხოდი“-ს სათანადო ნებართვა.

2. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა-კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვით.

ა-კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1018 №-ში 1925 წ. ნოემბრის 1-ს.

დადგენილება № 73 აკ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისიისა, როგელიც სპეციალისტების სასუიდლისათვის აკ. შრომის სახალხო კომისარიატთან სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაწესების საქმეს აწარმოებს.

1925 წ. ოქტომბრის 29.

532. სსრკ ცენტრის დაწესებულებების მიერ, რომელნიც ა/კ ტერიტორიაზე იმყოფებიან, სპეციალისტებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებების სარეგისტრაციოდ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში წარდგენის შესახებ.

1. რათა ფაქტიურად განხორციელებულ იქნეს სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ა/წ. ივნისის 30-ს თარიღისა და 189 (ნ27) №-რის ცირკულიარი (ამიერკავ. შრ. სახ. კ-ტის შრომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებ. „ვესტნიკი“-ს ა/წ. მე-14 №-რი) და აგრეთვე განხორციელებულ იქნეს კონტროლი ამიერკავ. ტერიტორიაზე მყოფი სსრკ ცენტრის დაწესებულებების მიერ (ტრესტებისა და სინდიკატების განყ. და სხვ.) სპელიალური ფონდების ახალ 1925-1926 საბიუჯეტო წელში ხარჯვისათვის, ამიერკავ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისია ამიერკავ. შრომის საბალხო კომისარიატთან სპეციალური ფონდების დაწესებისა ადგენს:

1) წინადადება მიეცეს ა-კ. სფსრ ტერიტორიაზე მყოფ სსრკ ცენტრალურ დაწესებულებათა ყველა განყოფილებას, სამმართველოს, კონტორას და სხვა ორგანოს—წარუდგინოს ა-კ. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ—განცხადების ასლი განსაკუთრებული ფონდის შესახებ 1925-1926 საბიუჯეტო წლის პირველი ნახევარწლისათვის ან ასლი ცენტრის დოკუმენტისა, რომლითაც ადგილობრივი განყოფილებისათვის განსაზღვრულია მასთან მომქმედი განსაკუთრებული ფონდის რაოდენობა.

2) წინადადება მიეცეს იმავ ორგანოებს წარუდგინონ ა-კ. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს სარეგისტრაციოდ, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 189—257 №-რის ცირკულიარის მე-3 ჰ. წესისამებრ, სპეციალისტებთან ახლად დადებული ან 1925-1926 საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამოქმედოდ განგრძობილი შრომის ხელშეკრულებანი.

3) ამა დადგენილებაში აღნიშნულ დაწესებულებათა მიერ სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების ხარჯვისათვის კონტროლის გასაწევად შემდეგში, წინადადება ეძლევა აზერბაიჯანის ს. ს. რ., საქართველოს ს. ს. რ. და სომხეთის ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებულ კომისიებს იხელმძღვანელონ შეურყეველად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 189-257 №-რის ცირკულაარი.

კომისიის თავმჯდომარე—ამიერკავკასიის

შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

კომისიის მდივანი—ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარიატის სატარ.-საკონფლ. განყ. გამგე **მ. ლეონი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1019 №-ში 1925 წ. ნოემბრის 3-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

533. ამხ. ფრუნზეს დასაფლავების დღეს დროშების დაშვებისა და შედლუხის შესახებ.

ა კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამა ნოემბრის 3-ს, დღის 14 საათზე ტფილისის დროის მიხედვით, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრისა, სამხედრო და საზღვაო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმეთა სახალხო კომისრისა და სსრკ. რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის, აწ გარდაცვალებულის ამხ. მიხეილ ვასილისძე ფრუნზეს საფლავში ჩასვენების წამს, ყველა სახელმწიფო დროშა, რაც ამართულია ა-კ. სფსრ მთავრობისა და ა-კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა, ა-კ სფსრ-სა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანოების შენობებზე, დაშვებულ უნდა იქნეს ხუთის წამით.

2. წინა მუხლში აღნიშნულ 14 საათზე უნდა მოხდეს საარტილერიო შედლუხი ბატარეებრივ ან მწყობრობრივ 25-ჯერ გასროლით; ხოლო იმ გარნიზონში, სადაც არტილერია არ არის, უნდა მოხდეს დაშენით სროლა უტყეიო ვაზნებით 25-ჯერ—ასეულისა ან მწყობრის შედგენილობით, ადგილობრივ მყოფი ჯარის რაოდენობისამებრ აგრეთვე, ფაბრიკებსა და ქარხნებში შედლუხი უნდა მოხდეს საყვირის ხმაურით 5 წამის განმავლობაში.

3. შეწყვეტილ იქნეს ყველგან მუშაობა და მეცადინეობა სროლისა და საყვირის შედლუხის დროს.

4. ფაბრიკებმა, ქარხნებმა და დაწესებულებებმა უნდა გამოჰყონ დელეგაციები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ჯარის ერთეულების სამგლოვიარო სვლაში; ამასთანავე სამგლოვიარო პროცესიაში დელეგატების მონაწილეობის წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს გარნიზონების უფროსებთან.

5. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს რადიო-ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 2.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1019 №-ში 1925 წ. ნოემბრის 3-ს.

დადგენილება № 6 (62) ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ნოემბრის 4.

534. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის შესახებ.

ა-კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დებულების (კან. კრ. 1924 წ. მე-5 №-რი, მუხ. 181) მე-20 მუხ. და „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ" ა-კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღითა და მე-16 № რით გამოცემული დადგენილების (კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 407) მე-7 მუხ. თანახმად, ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მოხდენილ იქნეს ტფილისსა, ბაქოსა, ერევანსა, ბათუმსა, სოხუმსა და ნახიჩევანში, ა-კ აფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ერთიანი სავაჭრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეესტრის შესახებ“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხ. თანახმად, რეგისტრაცია აღნიშნული ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედების რაიონში მყოფი: ა) სახელმწიფო, სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა და შენაერთთა, რომელნიც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ან (კალკ სახალხო კომისარიატების ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში იმყოფებიან; ბ) მუნიციპალური ბანკებისა, საკრედიტო ამხანაგობებისა, ლომბარდებისა, პირველი საფეხურის კოოპერატივებისა, მუნიციპალურ სავაჭრო საწარმოთა, სრულ ან ნდობის ამხანაგობათა, სავაჭრო და წარმოებით არტელებისა და გ) მარტივ ამხანაგობათა მონაწილეებისა და იმ კერძო პირებისა (ქვეშევრდომობის მიუხედავად), რომელნიც სავაჭრო რეწობას მისდევენ.

შენიშვნა. მე-3 კატეგორიაზე დაბლა მდგომ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოზე რეგისტრაცია არ გავრცელდება.

2. რეგისტრაცია დაეკისროს ამა დადგენილების 1—5 მუხლში აღნიშნული ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ შინა-ვაჭრობის განყოფილებათ, ხოლო იქ, სადაც ეს განყოფილებანი არ არსებობენ,—იმავე აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო განყოფილებათ (ფასების შემამცირებელი კომისიები).

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთაგან: ა) კოლექტიური საწარმონი: სრული და ნდობის ამხანაგობანი, სავაჭრო და წარმოებითი არტელები, საკრედიტო ამხანაგობანი და კოოპერატივები, აგრეთვე სახელმწიფო სავაჭრო შენაერთნი, მუნიციპალური ბანკები, მუნიციპალური სავაჭრო საწარმონი და ლომბარდები და სხვ. შეტანილ უნდა იქნენ სავაჭრო რეესტრის ადგილობრივი ნაწილის პირველ განყოფილებაში და ბ) ყველა სახელმარტოო საწარმო, მათ შორის ისეთი საწარმო, რომელსაც ამოქმედებენ მარტივი ამხანაგები (მარტივი ამხანაგობა), აგრეთვე ზემოაღნიშნული კოლექტიური, სახელმწიფო, მუნიციპალური და სახელმარტოო საწარმოთა საწყობები, მაღაზიები ფაბრიკები, ქარხნები და სხვ. შეტანილ უნდა იქნეს იმავე სავაჭრო რეესტრის ადგილობრივი ნაწილის მეორე განყოფილებაში.

4. ის საწარმონი, რომელთაც რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრის ადგილობრივი ნაწილის პირველ განყოფილების მიხედვით უნდა გაუკეთდეს (ამა დადგენილების მე-3 მუხ. „ა“ პუნ.), ვალდებულ არიან წარადგინონ რეგისტრაციის დროს შემდეგი ცნობები და დოკუმენტები (წესდება, ხელშეკრულება, დებულება და სხვ.):

ა) საწარმოს სახელწოდება და ხასიათი (ფირმა);

ბ) დრო წესდებისა და დებულების დამტკიცებისა ან ამხანაგობის ხელშეკრულობის დადებისა და საწარმოს მიერ თავისი ოპერაციების დაწყების დრო;

გ) სამყოფელი ადგილი საწარმოსი, მისი ცალკე დაწესებულებებისა, კონტორებისა და სხვ.;

დ) საწარმოს მიზანი და ოპერაციები;

ე) მოქმედების რაიონი;

ვ) ძირითადი (საწესდებო), საბრუნავი, შენაკრეფი და სხვ. კაპიტალების რაოდენობა;

ზ) ძირითადი კაპიტალის ფაქტიურად შეკრეფილი ნაწილის რაოდენობა;

თ) ფაქტიური ფარდობა საწარმოს კერძო კაპიტალისა და სახელმწიფო-საკოოპერაციო კაპიტალს შორის;

ი) საწარმოს გამგეობის (ადმინისტრაციის) სამყოფელი ადგილი და მისი შედგენილობა (გამგეობის წევრთა, გამგე-დირექტორისა ან გამგის გვარი, სახელი და მამის სახელი);

კ) სასარეწაო მოწმობის (პატენტის) კატეგორია და №-რი;

ლ) საწარმოს არსებობის ვადა, უკეთუ იგი გათვალისწინებულია;

მ) საწარმოს წარსული საოპერაციო წლის ბრუნვა;

5. ის საწარმონი, რომელთაც რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრის ადგილობრივი ნაწილის მეორე განყოფილების მიხედვით უნდა გაუკეთდეს (ამა დადგენილების მე-3 მუხ. „ბ“ პუნ.), ვალდებულ არიან წარადგინონ რეგისტრაციის დროს შემდეგი ცნობები და დოკუმენტები:

ა) საწარმოს მფლობელის (თანამფლობელის) გვარი (სახელი და მამის სახელი) და საცხოვრებელი ადგილი;

ბ) სამყოფელი ადგილი საწარმოსი, მისი ცალკე დაწესებულებებისა და განყოფილებებისა;

გ) საწარმოს მოქმედების საგანი;

დ) საწარმოს ძირითადი კაპიტალის რაოდენობა და წარსული საოპერაციო წლის ბრუნვა;

6. სარეგისტრაციო და საპუბლიკაციო გამოსაღების გადახდევინებისათვის შინა-ვაჭრობის განყოფილებამ უნდა იხელმძღვანელოს ა-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და მე-16 №-რის დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს 879 №-ში ა/წ. მაისის 20-ს.

7. დაეკისროს ა/კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ა-კ. სფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, აგრეთვე მათ წარმომადგენელთ ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში—მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა ადგილობრივ რეგისტრაციის განხორციელებისათვის ამა დადგენილების თანახმად.

8. ამა დმდგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ საწარმოთა რეგისტრაცია დამთავრებულ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

9. ა-კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა და მათმა წარმომადგენლებმა ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში პასუხისგებაში უნდა მისცენ ხოლმე სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ საწარმოთა ხელმძღვანელნი და მფლობელნი, რომელნიც თავის დროზე არ წარადგენენ სარეგისტრაციოდ საჭირო ცნობებს და დოკუმენტებს ან რომელნიც წარადგენენ არა-სწორ ცნობებს.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარიატის საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1021 №-ში 1925 წ. ნოემბრის 5-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 5 (61) ა/კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

1925 წ. ოქტომბრის 30.

535. ჩაის სუროგატების შესახებ.

„ა/კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად—ა/კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. აღკრძალულ იქნეს ა/კ სფსრ ფარგლებში ბაზარზე და სავაჭროდ გამოშვება უცხოეთისა და ადგილობრივი ჩაის სახით ყოველგვარი სუროგატული პროდუქტისა (ხილი, მოცვი, სტაფილო, ჟოლო, მარწყვი და სხ.) ჭურჭელსა, ეტიკეტსა და სხვ. რამეში, „ჩაის“ სახელწოდებით ან იმის აღნიშვნით, რომ ამ პროდუქტის დაყენება შეიძლება ჩაის სახით.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული აკრძალვა გავრცელდება როგორც სახელმწიფო ვაჭრობაზე და კოოპერაციაზე, ისე კერძო პირზედაც.

3. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ სფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში უნდა იქონიონ მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ სფსრ შინა ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1021 №-ში 1925 წ. ნოემბრის 5-ს.

დადგენილება № 74 ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისიისა, როგორც სპეციალისტების სასყიდლისათვის ა/კ. შრომის სახ. კომ. სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდ. დაწესების საკმეს აწარმოებს.

1925 წ. ოქტომბრის 29.

536. შრომის ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დამყარების წესის შესახებ სპეციალისტთა სასყიდლისათვის 1925—1926 საბიუჯეტო წლის 1-ლ სანახევარწლად.

შრომის ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაწესების მიზნით სპეციალისტთა სასყიდლისათვის 1925—1926 საბიუჯეტო წლის განმავლობაში—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულმა ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისიამ თავის სხდომაზე ოქტომბრის 29-ს დაადგინა:

1. სპეციალისტთა სასყიდლისათვის შრომის ხელფასის განსაკუთრებული ფონდები დაწესებულ იქნეს 1-ლ სანახევარწლად 1925—1926 წ. ოქტომბერ—მარტის განმავლობაში.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მასშტაბის ყველა ორგანოს, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, მათ შორის ამიერკავკასიის კოოპერატიულ შენაერთთა ორგანოებსაც, რომლებზედაც გავრცელდება ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღისა და 26 №-რის დადგენილების მოქმედება, წარადგინონ არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 20-სა განცხადება (ორ ცალად) მათთვის საჭიროა განსაკუთრებული ფონდის შესახებ; ერთ ცალს განცხადების წარმდგენი ორგანო გაჰგზავნის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში დასაკვნისთვის, ხოლო მეორე ცალი წარედგინება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისიას; განცხადებას დაერთვის ცნობები განსაკუთრებული ფონდის თვედა თვე დახარჯული თანხების შესახებ 1924—1925 საბიუჯეტო წლის მე-II ნახევარწლის განმავლობაში.

3. განსაკუთრებული ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათათვის განსაზღვრულ იქნეს განსაკუთრებული წესით, როდესაც იმიერკავკასიის ბიუჯეტი საბოლოოდ გატარებულ იქნება მოსკოვში.

4. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სამეურნეო ორგანოებს და ამიერკავკასიის კოოპერატიულ შენაერთთა, ვიდრე დამტკიცდებოდეს ახალი განცხადებანი მათთვის საჭირო განსაკუთრებული ფონდების შესახებ, ამ ფონდის ნარჯვა აწარმოონ წინად დამტკიცებული რაოდენობით, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ახალი განსაკუთრებული ფონდები გამოთხოვილ იქნეს ამა დადგენილების მე-2 მუხ. დაწესებულ ვადაზე.

კომისიის თავჯდომარე—ა-კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

კომისიის მდივანი—ა-კ. შრ. სახ. კ-ტის
სტატისტიკო-საკონფ. განყ. გამგე **მ. ლეინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1022 №-ში 1925 წ. ნოემბრის 6-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 2 ა/კ. სფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოსი.

1926 წ. ნოემბრის 12.

537. დროებით შრომის უნარდაკარგულობისათვის მისაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. აგვისტოს 7-ს თარიღისა და 113 №-რის დადგენილების (გამოქვეყნებულია „ა/კ. სფსრ შრომის მომქმედი კანონმდებლობის კრებულში“, 1925 წ. გამოც., გვ. 442) გასაუქმებლად—ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო ადგენს:

1. დროებით შრომის უნარდაკარგულობისათვის მისაცემი დახმარების მაქსიმალურ რაოდენობად, რა მიზეზითაც უნდა იყოს ეს შრომის უნარდაკარგულობა გამოწვეული (შრომის კანონთა კოდექსის 176 მუხ. „ბ“ პუნ.), დაწესებულ იქნეს 15 მანეთი დღეში (თვეში 360 მან.).

2. ანგარიშის გასწორება ამა დედგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ მოხდება დროებით შრომის უნარდაკარგულობის დღეებისათვის, დაწყებული 1925 წ. ნოემბრის 1-დან.

საბჭოს თავმჯდომარე **იაშვილი.**

პასუხისმგებელი მდივანი **ევანგულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1029 №-ში 1925 წ. ნოემბრის 15-ს.

დადგენილება № 3 ა/კ სფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოსი.

1925 წ. ნოემბრის 13.

538. სტაციონურ სამკურნალო დაწესებულებებში უფასოდ მოთავსებულ დაზღვეულთა გასამრჯელოდან წოლით მკურნალობისათვის სასყიდლის დაჭერის გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღისა და 25 №-რის დადგენილება „სტაციონურ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ დროებით შრომის უუნარო დაზღვეულთა დახმარების ნორმების შესახებ“ (გამოქვეყნებულია „ა-კ. სფსრ შრომის მომ-

ქმედი კანონმდებლობის კრებულში“, გამოც. 1925 წ.); ამასთანავე გავრცელებულ იქნეს მათზე საერთო წესი დროებით შრომის უნარდაკაუგულობისათვის დახმარების მიცემის შესახებ.

2. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს იმ დღეებზე, როდესაც დაზღვეული ავად იქნება, დაწყებული ა/წ. ნოემბრის 1-დან.

საბჭოს თავმჯდომარე **იაშვილი.**

პასუხისმგებელი მდივანი **ევანგულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1029 №-რში 1925 წ. ნოემბრის 15-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

539. ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრად ამხ. ერქომაიშვილის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ა-კ. სფსრ შინა ვაჭრობის სახალხო კომისრის ამხ. გ. მგალობლიშვილის ა/კ სფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულად (საქართველოს სოც. საბჭ. რ-ში) დანიშვნის გამო, განთავისუფლებულ იქნეს იგი ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობისაგან.

2. ა-კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრად დანიშნულ იქნეს ამხ. ალექსანდრე მიხეილისძე ერქომაიშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 9.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 1026 №-ში 1925 წ. ნოემბრის 12-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

540. **ა/კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშგების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის პრეზიდუმის წინაშე საბჭოების არჩევნებისათვის მომზადებისა და საარჩევნო კამპანიის ჩატარების საქმეში.**

რათა წინამდებარე საარჩევნო კამპანიის გამოცდილება, რაც შეიძლება, სრულად იქნეს აღნუსხული და გაერთიანებული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. ოქტომბრის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილების საფუძველზე, რომელი დადგენილებაც შეეხება „მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშგებას სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე საბჭოების არჩევნებისათვის მომზადებისა და საარჩევნო კამპანიის ჩატარების საქმეში,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა-კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან მთლად ის საანგარიშო მასალა, რასაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არჩევნებისათვის მომზადებისა და საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ მათ წარუდგენენ, სისტემაში მოიყვანონ და წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს თვიური ჯუმლ-ანგარიშის სახით.

2. პირველ თვიურ ჯუმლ-ანგარიშში არჩევნებისათვის მზადების შესახებ ა/კ სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა აღნიშნონ, რა ღონისძიებანია მიღებული იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მზრომელთა ფართო მასების ჩაბმა საბჭოთა არჩევნებში, სახელდობრ: რამდენი და რა ხასიათის საანგარიშო კრება მოუხდენიათ რაიონებში ძველი შედგენილობის საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების წევრებს ამომრჩეველთა წინაშე; არჩევნებისათვის დანიშნული ვადები (თვის რიცხვი); წესი არჩევნებში იმ ამომრჩეველთა მონაწილეობისა, რომელნიც პროფესიონალურ კავშირებად არ არიან დარაზმულნი; წესი ამომრჩევლთათვის წინამდებარე არჩევნების შესახებ წინასწარ შეტყობინებისა; წესი იმ პირთა სიის შედგენისა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება; საარჩევნო კომისიების შედგენილობა.

3. მეორე და მესამე თვიურ ჯუმლ-ანგარიშში საბჭოების არჩევნების გატარებისა და ამ არჩევნების შედეგის შესახებ ა/კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ცნობები, თუ რამდენად მიიღო მოსახლეობამ არჩევნებში მონაწილეობა; მოსახლეობის ცალკე ჯგუფების (გლეხებისა, მუშებისა და სხვ.) ფაქტიური მონაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობის შესახებ არჩევნებში; ახლად არჩეული საბჭოებისა და მათი ყრილობის სოციალური შედგენილობისა და სხვ. შესახებ; არჩევნების დროს მომხდარ დარღვევათა, მათი მიზეზებისა და თავიდან აცილების საშუალებათა შესახებ და სხვ.

4. ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხ. აღნიშნული თვიური ჯუმლები წარდგენილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში: პირველი არა უგვიანეს 1925 წ. დეკემბრის 31-სა, მეორე—არა უგვიანეს 1926 წ. იანვრის 25-სა და მესამე—არა უგვიანეს 1926 წ. თებერვლას 15-სა.

5. ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხ. აღნიშნული სამი თვიური ჯუმლანგარიშის გარდა, ა-კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან წარადგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დაწვრილებითი წერილობითი მოხსენებანი მთლად საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ არა უგვიანეს 4-ს თვისა კამპანიის დამთავრებიდან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 9.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1026 №-ში 1925 წ. ნოემბრის 12-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

541. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გლეხების მიმართ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ გამოცემული დადგენილების აღსრულებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაეკისროს ა-კ. სფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ზედამხედველობა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „გლეხების მიმართ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ" 1925 წ. ოქტომბრის 16-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესრულებისათვის; ამასთანავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკალოს აღნიშნულ კომისარიატს წარუდგინოს 1926 წლის იანვრის 1—თვის ა-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება მის მიერ ამა დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1925 წ. ნოემბერის 9. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1027 №-ში 1925 წ. ნოემბრის 13-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1925 წ. სექტემბრის 24
(პლენ. სხდომ. ოქმი № 9-419)

542. **ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი მიმოსვლის ტარიფის შემცირების შესახებ მოცვის ფოთლის გადაზიდვისათვის.**

მოცვის ფოთლის (ნომენკლატურაში არ არის მოხსენებული) ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი მიმოსვლით გადაზიდვისათვის ყველა სადგურიდან ყველა სადგურამდე, გარდა გადაზიდვისა ყველა საპორტო და სასაზღვრო სადგურიდან ყველა საპორტო და სასაზღვრო სადგურამდე, დაწესებულ იქნეს ადგილობრივი ტარიფი და მოცვის ფოთოლი დატარიფებულ იქნეს მომქმედი სატარიფო სისტემის მე-III ნორმალური კლასით, უკეთუ მოცვის ფოთოლი გადაიზიდება თავისი სახელწოდებით ტომრებში და ყუთებში და არა ჩაის პაკეტებში.

ტარიფი ესე დაწესებულია ერთი წლის ვადით და ძალაში შედის 7 დღის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. რკ. გზის გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე—გამგეობის წევრი **ფიცხელაური.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის
მოადგილე—ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1027 №-ში 1925 წ. ნოემბრის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 52 აპ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

543. საქალაქო მიწების დამატებითი რენტის უკიდურესი განაკვეთის შესახებ 1924—1925 საბიუჯეტო წლისათვის.

„საქალაქო მიწებისა და ტრანსპორტისათვის მიჩენილი მიწებისათვის რენტის გადახდევინების შესახებ“ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. დეკემბრის 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კაკ., სკს. და შთს. „ვესტნიკ“-ის 1923 წ. მე-11 №-რი, მუხ. 318) და „საქალაქო მიწების დამატებითი რუნტის 1924-1925 საბიუჯეტო წლის განაკვეთის შესახებ“ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. სექტემბრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების („იზვესტია“-ს 219 №-რი 1925 წ. სექტემბრის 25-სა) თანახმად—ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი რაოდენობა საქალაქო მიწების დამატებითი რენტის განაკვეთისა 1924-1925 საბიუჯეტო წლისათვის.

ა. იმ მიწის ნაკვეთებისათვის, რომლებზედაც შენობები არ არის აგებული, აგრეთვე იმ ნაკვეთებისათვის, რომლებიც უჭირავს საცხოვრებელ სადგომებს და სამრეწველო საწარმოთ:

ა) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 10 ათას სულამდეა, 1 კვ. საჟ.—3 კაპიკამდე;

ბ) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 10 ათას სულზე მეტია, ხოლო არა უმეტეს 25 ათასისა, 1 კვ. საჟ.—10 კაპიკამდე;

გ) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 25 ათას სულზე მეტია, ხოლო არა უმეტეს 50 ათასისა, 1 კვ. საჟენზე—25 კაპიკამდე;

დ) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 50 ათას სულს აღემატება, 1 კვ. საჟენზე—50 კაპიკამდე.

ბ. იმ მიწის ნაკვეთებისათვის, რომლებიც უჭირავს არა საცხოვრებელ სავაჭრო სადგომებს:

ა) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 10 ათას სულამდეა—12 კაპ.

ბ) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 10 ათას სულს აღემატება, ხოლო არა-უმეტეს 25 ათასისა,—50 კაპ.

გ) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 25 ათას სულს აღემატება, ხოლო არა უმეტეს 50 ათასისა,—1 მ. და 50 კ.

დ) იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 50 ათას სულს აღემატება,—3 მ. დ 50 კ.

II. უფლება მიეცეს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს ს. ს. რ-ბის სახალხო კომისართა საბჭოებს აღძრან ხოლმე, ა/კ. ცენტრალური შემფასებელი კომისიის მეშვეობით, ა/კ. სფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წინაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუამდგომლობა ამა დადგენილებით დაწესებული დამატებითი რენტის განაკვეთის უკიდურესი რაოდენობის გადიდების შესახებ ამა თუ იმ ქალაქისათვის, რომელიც განსაკუთრებულ ეკონომიურ პირობებშია.

ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოდგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

1925 ოქტომბრის 22. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1028 №-ში 1925 წ. ნოემბრის 14-ს.

დადგენილება № 53 ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

544. ა/კ. სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათა-შორისო კომისიის დაარსების შესახებ.

რათა ა/კ. სფსრ-ში მეტრული სისტემის რეფორმა გეგმაშეწონილად იქნეს განხორციელებული, ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თანახმად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. მაისის 26-ს დამტკიცებული დებულებისა—საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ცენტრალური კომისიის შესახებ—დაარსებულ იქნეს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან ა/კ. სფსრ-ში საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისია.

2. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარი კომისია, აგრეთვე საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ მეტრული სისტემის მთავარი კომისიები და აზერბაიჯანის სსრ მეტრული სისტემის ზომა-წონის კომისია გაუქმებულ იქნენ; ა/კ ზომა-წონის მთავარი კომისიის საქმეები და ქონება გადაეცეს საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღებ ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიას; ის მეტრული საზომები, რის რეალიზაციაც არ მომხდარა, გადაეცეს რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს საერეალიზაციოდ; ამ რეალიზაციით აღებული ფული შეტანილ უნდა იქნეს ხაზინის შემოსავალში; ფულად სახსართა ნაშთი, რაც ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარი კომიტეტის საქმეთა გადაცემის მომენტისათვის დარჩება, შეტანილ იქნეს ხაზინის შემოსავალში.

3. ა) ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აპრილის 24-ს დადგენილება—ა/კ. სფსრ-ში ზომა-წონის მეტრული სისტემის სახელმწიფო მონოპოლიისა და შემოწმება-მეტროლოგიური საქმის საფუძველზე შემოღების ღონისძიებათა შესახებ (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 114);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აპრილის 24-ს დებულება—ა/კ. სფსრ-ში გაზომვის მეტრული სისტემის სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე განხორციელების შესახებ (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი მუხ. 114) და იმავე რიცხვის დებულება—ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარი კომისიის შესახებ (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 115);

გ) ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ივნისის 28-ს დადგენილება—ა/კ. სფსრ-ში მეტრული საზომ საწონის სამონოპოლიო ფასებისა და სათანადარო დაბეგვრის ნიხრის შესახებ (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-5 №-რი, მუხ. 171);

დ) ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მაისის 25-ს დადგენილება—ა/კ. სფსრ-ში მეტრულ საზომ-საწონთა განაწილების შესახებ (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-6 №-რი, მუხ. 438)—გაუქმებულ იქნეს.

4. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება—საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ.

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 29.

დებულება ა/კ. სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის შესახებ.

1. ა/კ. სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღებ ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიას დაეკისრება—გააერთიანოს ყველა ღონისძიება ა/კ. სფსრ-ში მეტრული სისტემის რეფორმის განსახორციელებლად.

2. საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათასშორისო კომისია არსებობს ა/კ. სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან და ადმინისტრატიულ-სამეურნეო სფეროში იხელმძღვანელებს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დირექტივებს, ხოლო სამეცნეიერო-მეტროლოგიურ სფეროში—სსრკ ცენტრალური მეტრული კომისიის მიერ გამოცემულ დებულებებს და დადგენილებებს.

3. საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისია თავისი მოქმედების ანგარიშს წარუდგენს ხოლმე ა/კ სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და სსრკ ცენტრალურ მეტრულ კომისიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრულ კომისიას აქვს ბეჭედი სახელმწიფო გეობისა და თავისი სახელწოდების გამოხატულებით.

5. ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია შესდგება: თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და აზერბაიჯანის სსრ., სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა, ამიერკავკასიის საზომ-საწონთა პალატისა, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენელთაგან.

6. თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დანიშნავს ა/კ. სფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო იმ პირთაგან, ვისაც სპეციალური სამეცნიერო მომზადება აქვს.

7. ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის ყველა დადგენილების განხორციელება დაეკისრება ამ კომისიის პრეზიდიუმს, რომელსაც შეადგენენ თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ა/კ. საზომ-საწონთა პალატის წარმომადგენელი.

შენიშვნა. ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ მისი წევრების უფლებისამებრ სსრკ ცენტრალური მეტრული კომისიის წარმომადგენელნი მათი ტფილისში ყოფნის დროს, თუ მათ სათანადო მანდატი ექნებათ.

8. ა/კ. სფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში (აზერბ. სსრ, სომხ. სსრ და საქართვ. სსრ), ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის დადგენილებათა უშუალო განხორციელებისათვის ამ რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოთა განკარგულებით დაინიშნებიან განსაკუთრებული რწმუნებულნი, რომელნიც ა/კ. საუწყ. მეტრული კომისიის წარმომადგენელნი არიან.

შენიშვნა. რწმუნებული რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან ირიცხება და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებისათვის გამოიყენებს ეკონ. საბჭოს აპარატს.

9. სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ ცალკე დარგში, უწყებაში, ან ორგანიზაციაში მეტრული სისტემის უშუალოდ შემოღებისათვის შეიძლება დაარსებულ იქნეს საუწყებო მეტრული კომისია.

10. საუწყებო მეტრული კომისია ა/კ.სფსრ სახალხო კომისარიატებში დაარსდება ა/კ. საუწყ. მეტრულ კომისიასთან შეთანხმებით, ხოლო ა/კ. სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ამა თუ იმ სახალხო კომისარიატში დაარსდება ამ რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოში მყოფ სათანადო რწმუნებულთან შეთანხმებით.

11. ა/კ. სფსრ-ში მეტრული სისტემის შემოღების მიზნის განხორციელებისათვის ა/კ საუწყ. მეტრულ კომისიას დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები ა/კ. სფსრ-ში მეტრული სისტემის განხორციელების შესახებ, უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მეშვეობით, ა/კ. სფსრ საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეიმუშაოს გეგმები ა/კ. სფსრ-ში საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემოღებისათვის;

გ) გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი ა/კ. სფსრ-ში საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემოღების შესახებ, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს, ადგილობრივ პირობათათვის შეფარდებით, სსრკ ცენტრალური მეტრული კომისიის დადგენილებანი;

დ) მისცეს დავალება და დირექტივები რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან მყოფ რწმუნებულებს, საუწყებო მეტრულ კომისიებს და აგრეთვე ა/კ. პალატას საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემოღების საკითხების თაობაზე;

ე) გამოსცეს ხოლმე განსაკუთრებული ინსტრუქციები, როგორც რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან მყოფ რწმუნებულებისა, ისე საუწყებო მეტრული კომისიების მოქმედების ინგარიშის წესის შესახებ;

ვ) განიხილოს და გადასწყვიტოს ხოლმე საჩივრები რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან მყოფ რწმუნებულებისა და საუწყებო მეტრული კომისიების მოქმედებისა და დადგენილებების გამო;

ზ) განიხილოს ხოლმე სხვა-და-სხვა საუწყებო დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ გამოცემული ლიტერატურა მეტრული სისტემის შესახებ და მისცეს ნებართვა ამ ლიტერატურის გამოშვებისათვის.

12. ა/კ. სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ა/კ. სფსრ-ში საზომ-საწონთა მეტრული სისტემის შემომღები ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისია, რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან მყოფი რწმუნებულნი და აგრეთვე საუწყებო მეტრული კომისიები თავიანთ ხარჯთაღრიცხვებს წარადგენენ საერთო წესისამებრ, რაც დადგენილია იმ ორგანოებისათვის, რომლებთანაც ისინი ირიცხებიან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ოქტომბრის 29.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1028 №-ში 1925 წ. ნოემბრის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

545. საქც. საზ. (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცებისა და თვით საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქციონერო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) წესდების დამტკიცებისა და თვით საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“ 1925 წ. აპრილის 24-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-7 მუხ. თანახმად და მე-5 მუხ. განსავითარებლად—ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქციონერო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) წესდება დამტკიცებულ უნდა იქნეს ხოლმე ა/კ სფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) დამფუძნებელთა შორის არის ა/კ სფსრ სახელმწიფო დაწესებულება ან ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმო;

ბ) უკეთუ საზოგადოების (ა—ბის) დამფუძნებელთა შორის არის ა/კ სფსრ შედგენილობაში შემავალი ორი ან სამი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმო;

გ) უკეთუ საზოგადოების (ა—ბის) ძირითადი კაპიტალი ხუთას ათას (500.000) მან. აღემატება;

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. გათვალისწინებული წესდება საქციონერო საზოგადოებისა (ა—ბისა) ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დასამტკიცებლად შეიტანება ა/კ სფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

3. საქციონერო საზოგადოების (ა—ბის) წესდება, რომელიც არ შეესაბამება ამა დადგენილების 1-ლ მუხ. „ა“, „ბ“ და „გ“-ს პუნქტებში აღნიშნულ არც ერთ კატეგორიას, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კ სფსრ შედგენილობაში მემავალი რესპუბლიკების სათანადო ეკონომიური თათბირის მიერ, ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარდგენით.

4. იმ საქციონერო საზოგადოებას (ა—ბას), რომლის წესდებაც დამტკიცებულია ამა დადგენილების 1—3 მუხ. წესისამებრ, რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ა/კ სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებში—კუთვნილებისამებრ.

5. წინაა[illegible]ება მიეცეს ა/კ სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ სათანადო რესპუბლიკის მომქმედ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ლუკაშინი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1925 წ. ნოემბრის 9. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1029 №-ში 1925 წ. ნოემბრის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ის უცხოელი, რომელსაც დაწესებული საცხოვრებელი დოკუმენტი აქვს, მოვალეა, ორ დღეზე არა უგვიანეს დღიდან ამ დოკუმენტის ვადის გასვლისა, შეიტანოს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, ან მის ორგანოში, განცხადება საცხოვრებელი დოკუმენტის განახლების შესახებ.“

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი**

ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1925 წ. ნოემბრის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1037 №-ში 1925 წ. ნოემბრის 25-ს.

ცირკულარი № 43 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ნოემბრის 4.

553. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის იმ დადგენილებებისა და ცირკულიარების გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა თანახმად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. სექტემბრის 13-ს დადგენილებისა — „იმ საწარმოთა ნუსხის დამატების შესახებ, რომელთაც ხაშელავათო ტარიფის სარგებლობის უფლება აქვთ.“

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი გატყობინებთ, რომ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 18-ს დადგენილების გამოქვეყნების გამო, რა დადგენილებაც შეეხება „იმ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ნუსხის დამატებას, რომელთაც შეფარდებული აქვთ სოციალური დაზღვევის გადასახადის დროებითი საშელავათო ტარიფი“ (გამოქვეყნებულია ა/კ. შრ. სახ. კ-ტის „ვესტნიკ ტრუდა“-ს 1925 წ. მე-18 ან-ში), ძალასა ჰკარგავს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის შემდეგი დადგენილება და ცირკულიარი:

1. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივნისის 17-ს თარიღისა და 44 №-რის დადგენილება „ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში მყოფი სანახაობის ხასიათის მქონე საწარმოთათვის გადასახდეველი სოციალური დაზღვევის გადასახადის რაოდენობის შესახებ“

2. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წლის ივნისის 27-ს თარიღისა და მე-20 №-რის ცირკულიარის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის დაწესებას საზოგადოება „დობროლიოტი“-ის საწარმოთა და დაწესებულებათათვის და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმ. კომიტეტებთან და მათ რწმუნებულებთან არსებული საბავშვო კომისიებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. თებერვლის 5-ს თარიღისა და მე-18 №-რის ცირკულიარის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის დაწესებას რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების დაწესებულებათა და საწარმოთათვის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი**

ა/კ. შრომის სახ. კომ. სოც. დაზღ. მთავარი სამართ. უფროსი **იაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1024 №-ში 1925 წ. ნოემბრის 10 ს

ცირკულიარი № 44 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ნოემბრის 5.

554. იმ პირთა დაზღვევის შესახებ, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტის მომსახურე დამქირავებლებთან.

მუშათა და მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა ინტერესების, რაც შეიძლება მეტის წარმატებით, უზრუნველყოფისათვის, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი თავისი, 1923 წ. მაისის 23, განმარტების (გამოქვეყნეაულია ა/კ. სუსრ შრომის მომქმ. კანონმდებლობის კრებულში, გამოც. 1925 წლისა) გასაუქმებლად—წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი წესი:

საკითხი იმ პირთა დაზღვევის შესახებ, ვინც დაქირავებულ შრომას ეწევა სამეურნეო ორგანოში ნარდად მომუშავეესთან, მერიგესთან, ცალკე მეურნესთან და ყოველგვარი სახისა და სახელწოდების არტელში, რომელნიც მომსახურეობას უწევენ რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტს, ან მის დამხმარე საწარმოს, გადასწყდება ამა თუ იმ დამზღვევ სალაროში (ტერიტორიალურსა თუ სატრანსპორტოში) თვითეულ ცალკე შემთხვევაში ამიერკავკასიის საგზაო დამზღვევ კასასთან და სოციალური დაზღვევის სათანადო რესპუბლიკანურ სამმართველოსთან შეთანხმებით და/დაინტერესებული პროფესიონალური ორგანიზაციის მონაწილეობით:

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი**

ა/კ. შრ. სახ. კომ. სოც. დაზ. მთავარი სამმართველოს უფროსი **იაშვილი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან **შვარცი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1024 №-ში 1925 წ. ნოემბრის 10-ს.

ს. ს. შ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.

შეკ. № 2990/496. დაიბეჭდა 1500.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია აპსუსრ სახალხო კომისართა საგჯოსი.

546. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების წესისა, ამ მეურეობათათვის კრედიტის მისაცემად ფონდების დაარსების წესისა და ამ ფონდების დახარჯვის წესის შესახებ.

ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეორნეობათათვის შეწერილი 1924-1925 წ, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ამ საბჭოთა მეურნეობებისა და მათი შენაერთების მიერ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში 1926 წლის იანვრის 1-დე და ამის შემდგომ ვადის გადადება ან განაწილება გადასახადის შეტანისათვის არ შეიძლება.

შენიშვნა. ტრესტად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობად ჩაითვლება სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწრმო, რომელსაც აერთიანებს ტრესტი, ან ცალკე საწარმო, რომელიც უშუალოდ სახ. სასოფლო სახ.-სამ. სინდიკატში შედის, ან და სხვა რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო შენაერთი. დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც სხვა დაწესებულების ექსპლოატაციაში იმყოფება (მიწერილი საბჭოთა მეურნეობა და სხვ.) არ შეესაბამება აღნიშნული დადგენილების მოქმედებას.

2. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული 1924—1925 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხიდან გადაიდება ანარიცხი ადგილობრივი საჭიროებისათვის და შეიტანება ადგილობრივ ბიუჯეტში საერთო წესისამებრ. დანარჩენი თანხა გადასახადისა გადაეცემა რესპულიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური კაპიტალის სახით (განსაკუთრებული ფონდი საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტის მისაცემად) და დაიხარჯება მარტოოდენ ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათათვის კრედიტის მისაცემად. საბჭოთა მეურნეობათათვის გადახდევინებული ჯარიმისა და საურავის თანხები ხაზინის შემოსავლად ჩაირიცხება.

3. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი რესპუბლიკებში დაამყარებენ წესს საფინანსო ორგანოების მიერ დაბეჯითებით შემოწმებული ცნობების წარდგენისას—1925 წ. ივლისის 1-დე და შემდეგ, ყოველ თვე, ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობების მიერ შეტანილი 1924—1925 წლის შენაწერი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხების შესახებ. ამ ცნობებს საათანადო საადგილმამულო სამმართველოს მიერ უნდა გაუკეთდეს ვიზა და იგივე ცნობები დაბეჯითებით შემოწმებულ უნდა იქნეს იმ მიზნით, რათა ნიშანდობლივ გამოირკვეს ის თანხები, რაც მარტოოდენ ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული,

4. ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული 1924-1925 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხებისათვის წარმოებულ უნდა იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს ცალკე აღნუსხვა დროებითი სადეპოზიტო ანგარიშის სახით შემდეგი სახელწოდებით: „ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული 1924-1925 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხები“. ეს თანხები საერთოდ შემოსულ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხაში არ ჩაირიცხება. ხოლო ის თანხები, რაც 1925 წ. ივლისის 1-დე შემოვიდა, გადარიცხულ უნდა იქნეს ცალკე ანგარიშზე—ანგარიშების ბუხჰალტრულის წესის შესაბამების მიხედვით.

5. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი რესპუბლიკებში მოვალენი არიან წარუდგინონ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს ოქტომბრის 1-თვის, ამასთანავე დართული ფორმით, ცნობები ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან ივლისის 1-დე შემოსული 1924-1925 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხების შესახებ და შემდგომ, ყოველი თვის შესახებ იმავე ფორმით უნდა წარადგინონ ხოლმე ცნობები არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის მე-10 რიცხვისა. ამ ცნობების წარდგენა უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, ვიდრე გადასახადი მთლად დაფარული არ იქნება.

6. რესპუბლიკანურ სასოფლო სამეურნეო ბანკებისათვის ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან გადახდევინებული 1924-1925 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის თანხების გადაცემის წესს დაამყარებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული რესპუბლიკაში, ამ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან შეთანხმებით.

7 მინდობილობის უფლების საფუძველზე რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის გადაცემული თანხები არის სახელმწიფო სახაზინადროს კუთვნილი განსაკუთრებული დანიშნულების სპეციალური კაპიტალი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ბანკების გამგებლობაშია და რომლის დანიშნულებაა მარტოოდენ კრედიტად ეძლეოდეს ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობას.

8. სესხი ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობას მიეცემა განსაზღვრული სარენტაბელო ღონისძიებისათვის, რომელსაც მიზნად აქვს საბჭოთა მეურნეობის გაუმჯობესება და, ამრიგად, მისი საცდელ-საჩვენებელი მნიშვნელობის გაძლიერება.

9. სესხი გაიცემა მოკლევადიანი და გრძელვადიანი, 5 წელზე არა მეტის ვადით. ამასთანავე სესხის რაოდენობისა და დაფარვის ვადა განისაზღვრება სრულის შეფარდებით იმ ღონისძიებასთან, რომლის განხორციელებისათვისაც გაცემულია სესხი, და კრედიტის მიმღებ საბჭოთა მეურნეობის ნამდვილ მოთხოვნილებასთან.

10. ფონდის ხარჯვის გეგმას დააწესებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან და რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან შეთანხმებით. ეს გეგმა უნდა ეცნობოს ა/კ. სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კ. სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

11. პასუხისმგებელობა საბჭოთა მეურნეობის მიერ მიღებული სესხის თავის დროზე და სრულად დაბრუნებისათვის დაეკისრება რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ზემოაღნიშნული ფონდის გამოყენების შემდეგ რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკი ყოველ წლივ წარუდგენს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს რესპუბლიკაში დაწერილებით ანგარიშს, რომლის ასლიც გაეგზავნება ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

13. ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამ ანგარიშის ასლს წარადგენს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

14. ფონდის ლიკვიდაცია მოხდება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა. კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

1925 წ. ოქტომბრის 29. ტფილისი-სასახლე.

ნუსხა

ტრესტებად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობათაგან შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხებისა.

1925 წ.....თვისათვის.

რესპუბლიკა. მაზრა.	სულ შემოვიდა 1924-1925 წ. სას.-სამ. გადასახ.	ძირითადი შენაწერის თანხები	აქედან გადარიცხულია ადგილობრ. საჭიროებ.	საურავი	ჯარიმა.	შენიშვნა

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1030 №-ში 1925 წ. ნოემბრის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 57 ა/კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

547. „სამრეწველო-ეკონომიური განათლების ხელისშემწყობი კომიტეტის დებულების“ დამატების შესახებ.

ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კ სფსრ სახ. კომ. საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 1-ს თარიღისა და 51 №-რის დადგენილებით დამტკიცებული („ზარია ვოსტოკა“-ს 1014 №-რი 1925 წ. ოქტომბრის 28-სა), ა/კ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (აზერბაიჯანის სოც. საბ. რესპუბლიკაში) სამმართველოსთან არსებული სამრეწველო-ეკონომიური (კომერც.) განყოფილების ხელისშემწყობი კომიტეტის შედგენილობა შევსებულ იქნეს თითო წარმომადგენელით: აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთისა და კასპიის ნაოსნობის სააქციონერო საზოგადოების გამგეობისაგან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი — სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 10

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1032 №-ში 1925 წ. ნოემბრის 19 ს.

დადგენილება № 56 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

548. ა/კსსრ ფედერატიული კავშირისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო დაზღვევის შესახებ გამოცემული დეკრეტების გაუქმების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წლის სექტემბრის 18-ს დამტკიცებული სსრკ სახელმწიფო დაზღვევის დებულების („სსრკ ცენ. აღმ. კომ. იზვესტია“-ს 247 №-რი 1925 წ. ოქტომბრის 28-სა) სამოქმედოდ შემოღების გამო ა/კსფსრ სახ. კომ. საბჭო ადგენს: **გაუქმებულ იქნეს**: ა/კსსრ საკავშირო საბჭოს 1922 წლის სექტ. 16-ს დეკრეტი — ქალაქ ტფილისში — ამიერკავკასიის ფედერაციისათვის — და აგრეთვე ცალკე რესპუბლიკებში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს და სადასაზღვეო ოპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებისათვის აწყობებულებათ მოწყობის შესახებ (ა/კსსრ. ფკ. კან. კრ. 1923 წ. მე-7 №-რის დანართი, მუხ. 106) და ა/კსფსრ 1924 წ. თებერვლის 14-ს დეკრეტი—სახელმწიფო დაზღვევის შესახებ ა/კსფსრ-ში (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-2 №-რი, მუხ. 38).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სისახლე. 1925 წ. ნოემბრის 10.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1032 №-ში 1925 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება № 55 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

549. ა/კ. სფსრ ტერიტორიაზე არსებულ საავტომობილო მეურნეობათა მიერ ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოსათვის თავიანთი მუშაობის ანგარიშებისა და ცნობების წარდგენის შესახებ.

საავტომობილო საქმის ა/კსფსრ-ში წესიერად მოწყობისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის აღნუსხვისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებას და საწარმოს, რომელსაც-კი დამოუკიდებელი საავტომობილო მეურნეობა აქვს, წარადგინოს ხოლმე, ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს მიერ დაწესებულ ფორმით და ვადაზე, ხსენებული სამმართველოს საავტომობილო განყოფილებაში პერიოდული ანგარიშები და ცნობები საავტომობილო ტრანსპორტის აღნუსხვისა და მისი მუშაობის შესახებ.

2. წინა მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი და საწარმონი შეასრულებენ ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს ინსტრუქციებს საავტომობილო მეურნეობის რაციონალიზაციის შესახებ და დაუბრკოლებლად მიუშვებენ ამ საავტომობილო მეურნეობათა გამოსაკვლევად აღნიშნული სამმართველოს თანამშრომელთ, ვინც-კი საამისოდ უფლებამოსილი იქნება.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 10.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1032 №-ში 1925 წ. ნოემბრის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 54 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

550. რესპუბლიკანური საკრედიტო დაწესებულებებისა, კომუნალური ბანკებისა, საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებისა და ლომბარდების სარეგისტრაციო განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ წარმოებული სავაჭრო და სხვა საწარმოთა რეგისტრაციისათვის გადასახდევინებელი სახელმწიფო გამოსახღების შესახებ“ 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღითა და მე-19 №-რით გამოცემული დადგენილების (კან. კრ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ. 424) 1-ლი მუხლის „ვ“ პუნქტისა და მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის გასაუქმებლად და მე-5 მუხლის შესაცვლელად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

პირველადი რეგისტრაცია:

ა) რესპ. საკრ. დაწესებულებათა, მათ შორის კომუნ. ბანკებისა . . 50 მან.
ბ) საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა . . . . . 10 მან
გ) საქალაქო ლომბარდებისა . . . . . 5 მან.

2. ყოველი რეგისტრაცია უკვე რეგისტრაციაქმნილი ცნობების შემდგომი ცვლილებისა და დამატებისა, როცა ეს ცნობები შეეხება:

ა) რესპუბლიკ. საკრ. დაწესებულებათ, მათ შორის კომ. ბანკებს . . 10 მან.
ბ) საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათ . . . . . 3 მან.
გ) საქალაქო ლომბარდებს . . . . . 1 მან. და 50 კაპ.

3. ამონაწერი თვითეული ჩანაწერისა რეგისტრაციის შესახებ, როცა ეს ამონაწერი შეეხება:

ა) რესპ. საკრ. დაწესებულებათ, მათ შორის კომუნ. ბანკებს . . 5 მან.
ბ) საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათ . . . . . 1 მან.
გ) საქალაქო ლომბარდებს . . . . . 50 კაპ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმ. **ნ. ნიკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ნოემბრის 10.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1032 №-ში 1925 წ. ნოემბრის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

551. საყაზარმო სადგომებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, ვინც მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა ან სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა სამსახურში არ იმყოფება.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 15-ს დადგენილების მე-3 მუხ თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. უფლება მიეცეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს გამოასახლონ ადმინისტრატიულის წესით ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარე საყაზარმო სადგომებიდან ის პირნი, ვინც მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და სსრკ სამხედრო ან საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულების სამსახურში არ იმყოფება.

შენიშვნა. იმ ორგანოებს, რომელთაც უფლება აქვთ განკარგულება გასცენ გამოსახლების შესახებ ამა მუხლის წესისამებრ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპ. ფარგლებში განსაზღვრავს, ჯარის სათანადო უმაღლესი სარდლობა იმ პუნქტებისა, სადაც ჯარის ნაწილები (დაწესებულებანი) ბინადრობენ.

2. სადგომის განთავისუფლებისათვის გამოსასახლებელ პირს დაენიშნება ორი კვირის ვადა იმ დღიდან, როდესაც მას ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ორგანოს განკარგულება გამოეცხადა.

3. მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა ან სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულების სამსახურში მყოფ პირთან ერთად საყაზარმო სადგომში მცხოვრები წევრი მისი ოჯახისა გამოსახლებულ არ უნდა იქნეს.

4. საყაზარმო სადგომიდან გამოსახლება მუშისა, მოსამსახურისა, სოციალურ მზრუნველობაზე მყოფი პირისა, შრომისა და ომის ინვალიდისა, იმ უმუშევარისა, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს დახმარება სოციალური დაზღვევის წესით, და მოსწავლისა უნდა მობდეს მარტოოდენ იმის შემდეგ, როდესაც მას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი მისცემს საცხოვრებელ ბინას, იმ ადგილისათვის დაწესებული ნორმის მიხედვით.

5. იმ სამხედრო მოსამსახურეს და მის ოჯახს, რომელიც გამოსახლებულ უნდა იქნეს საყაზარმო სადგომიდან იმის გამო, რომ მან კანონის თანახმად თავი დაანება მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა ან სსრკ სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის დაწესებულების სამსახურს, ამა დადგენილების მე-4 მუხლისამებრ მისაცემი საცხოვრებელი ბინის გარდა, უნდა მიეცეს ავრეთვე სატრანსპორტო საშუალება საოჯახო ქონების გადასაზიდავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დანარჩენი კატეგორიის მოქალაქენი, ვინც-კი ამა დადგენილების მე-4 და 5 მუხ. არ არის ნაჩვენები, ორი კვირის ვადის გასვლისას, გამოსახლებულ უნდა იქნენ ადმინისტრატიული წესით სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ იმის დაუცდელად, ვიდრე მათ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი საცხოვრებელ ბინას მისცემდეს; ხოლო მაინც ადგილობრივი კომიტეტის მოვალეობას შეადგენს დააკმაყოფილოს ისინი საცხოვრებელი ბინით იმ ადგილისათვის დაწესებული ნორმის მიხედვით.

7. დაევალოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ორი კვირის განმავლობაში გამოსცეს ამა დადგენილების შეფარდებისათვის ინსტუქცია, რომელიც უნდა უზრუნველჰყოფდეს ამა დადგენილების შეფარდებას სსრკ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ გამოცემულ კანონთა კოდექსთან. შეთანხმებით (სსრკ. კან. კრებ. 1924 წ. 21 №-რი, მუხ. 198).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1925 წ. ნოემბრის 9. ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1033 №-ში 1925 წ. ნოემბრის 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

552. უცხოელთა მიერ საცხოვრებელი დოკუმენტის განახლების ვადის შესახებ.

„უცხოელთა რეგისტრაციისა და უცხოელებზე სარეგისტრაციო წესების დარღვევისა და დაწესებული საცხოვრებელი დოკუმენტის უქონლად ცხოვრებისათვის სასჯელის დადების შესახებ" 1925 წ. თებერვლის 16-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (კან. კრ. 1925 წ. მე-2 №-რი, მუხ. 369) შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

აღნიშნული დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 შენიშვნა დამტკიცებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: